2020 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიშიგაწეული მუშაობის შესახებ

კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა:

- საქართველოს კანონის ”გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №15 2018 წლის 30 მარტის დადგენილების „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხი;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ რიგ დადგენილებებში განსახორციელებელი ცვლილებების, უპირატესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის დადენა.
- ფრაქციის შექმნის, გაუქმებისა და ფრაქციის შემადგენლობიდან წევრის გასვლის ფაქტისა და ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო მასალების შესწავლის საკითხი;

კომისიამ ყურადღება გაამახვილა, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისნ საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის №19 დადგენილებაში განსახორციელებლ ცვლილებებთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში CIVID 19 პანდემიის გამო განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, შესაბამისად შეიცვალა საგადასახადო შემოსავლების

პროგნოზი, რაც აისახა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და გამოიწვია ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შემცირება.

ასევე, **იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის** თავმჯდომარის მიერ არაერთი პრობლემური საკითხი დაისვა საკრებულოს სხდომაზე, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელი და მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ **იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის** მიერ ათობით მოქალაქეს გაეწია იურიდიული კონსულტაცია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.